

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრს,
ბატონ მიხეილ ჩხენკელს

წინადადება

“სამშობლოსმცოდნეობის” გაკვეთილების ორგანიზებაში საჯარო სკოლების დირექტორების ჩართულობის თაობაზე

შემუშავებულია საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ განხორციელებული შემოწმების შედეგების მიხედვით და ეგზავნება “სახალხო დამცველის შესახებ” საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის “ბ” ქვეპუნქტის შესაბამისად.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა საკუთარი ინიციატივით დაიწყო “სამშობლოსმცოდნეობის გაკვეთილების” ორგანიზებაში საჯარო სკოლების დირექტორების ჩართულობის საკითხის შესწავლა.

ბატონო მიხეილ,

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა საკუთარი ინიციატივით დაიწყო “სამშობლოსმცოდნეობის გაკვეთილების” ორგანიზებაში საჯარო სკოლების დირექტორების ჩართულობის საკითხის შესწავლა.

სახალხო დამცველის აპარატის მიერ საქმის გარემოებათა სრულყოფილად შესწავლის შედეგად, გამოიკვეთა, რომ საჯარო სკოლების მიერ “სამშობლოსმცოდნეობის” გაკვეთილების საგნის ორგანიზებაში ჩართულობა და გაკვეთილებზე დასწრების მიზნით სკოლის მოსწავლეთა მობილიზება არ შეესაბამება სეკულარული განათლებისა და რელიგიური გაერთიანებისგან საჯარო სკოლის გამოჯვნის კანონისმიერ პრინციპს. ასევე, ამ გაკვეთილების ჩატარება სასწავლო პროცესში რელიგიური ინდოქტრინაციისა და პროზელიტიზმის რისკს ქმნის. ამასთან, გაკვეთილების დისკრიმინაციული შინაარსი ეწინააღმდეგება ადამიანის ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებს და შეუსაბამოა ზოგადი განათლების ეროვნული მიზნებსა და ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ განათლების მიზნებთან.

ფაქტობრივი გარემოებები:

2020 წლის 15 დეკემბერს სახალხო დამცველის აპარატისთვის ცნობილი გახდა საპატრიარქოსა და “ჩოხოსანთა საზოგადოების” მიერ ორგანიზებული „სამშობლოსმცოდნეობის“ გაკვეთილების შესახებ, რომელიც სხვადასხვა მედია საშუალებით გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, რამდენიმე წელია რაც ტარდება საჯარო სკოლებში საქართველოს მასშტაბით. პანდემიის პირობებში გაკვეთილებმა Zoom-ის ონლაინ პლატფორმაზე გადაინაცვლა. გაკვეთილებს ასობით მოსწავლე და მშობელი ესწრება საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან. საგანს უძღვება ლ. გ., რომლის მიერ მედია საშუალებებისთვის მიწოდებული ინფორმაციით, სკოლის პედაგოგები ჩართულები არიან ამ გაკვეთილების ორგანიზებისა თუ მოსწავლეთა მონაწილეობის

უზრუნველყოფის პროცესში¹. მოცემულ ეტაპზე, მისი თანამშრომლობა ხორციელდება დაახლოებით 50 სკოლასთან².

ჩოხოსანთა საზოგადოების გამგეობის წევრთა 2020 წლის 12 დეკემბერს ჩატარებული შეხვედრის ჩანაწერში³ საუბარია გაკვეთილების ორგანიზაციულ დეტალებსა და გეგმებზე. შეხვედრას გამგეობის წევრების გარდა ესწრებიან საჯარო სკოლის დირექტორები:

- ქალაქ რუსთავის ერთ-ერთი საჯარო სკოლის დირექტორი;
- გორის მუნიციპალიტეტის ერთერთი საჯარო სკოლის დირექტორი, რომელიც შეხვედრაზე აღნიშნავს, რომ “სამშობლოსმცოდნეობის” გაკვეთილს შეფარვით დაარქვა „დირექტორის საათი“, რადგან თავიდან აიცილოს შესაძლო წინააღმდეგობები, მისი თქმით, “დირექტორს არ უნდა ეშინოდეს სკოლაში სანთელი ანთოს და საკმეველი აკმიოს”⁴;
- ვიდეო შეხვედრაში თელავის რაიონიდან “სამშობლოსმცოდნეობის” საგნის ორგანიზაციულ საკითხებთან (მოსწავლეთა ჩართულობის უზრუნველყოფა და მასწავლებელთა გადამზადება) დაკავშირებით, სხვა დირექტორებთან ერთად, საუბარია თელავის მუნიციპალიტეტის ერთერთი საჯარო სკოლის დირექტორზე, ნ. ქ.-ზე⁵;
- შეხვედრის მონაწილეები ასევე განიხილავენ “სამშობლოსმცოდნეობის” საგნის ორგანიზებაში სამეგრელოს რეგიონის ერთერთი საგანმანათლებლო რესურსცენტრის ჩართულობას⁶;
- “სამშობლოსმცოდნეობის” ონლაინ გაკვეთილებზე დაწერების შესახებ ინფორმაციას ავრცელებს ქალაქ წყალტუბოს ერთერთი საჯარო სკოლის ადმინისტრაციაც.⁷

ჩოხოსანთა საზოგადოების წარმომადგენლის ზ.ს.-ს განცხადებით, ყველა რეგიონში, ახალციხის გარდა, შექმნილია ჩოხოსანთა საზოგადოების იერარქიული სტრუქტურები, ე.წ. სადროშოები, რომელთა ერთ-ერთი მთავარი საქმიანობა საგანმანათლებლო საქმიანობების ხელშეწყობაა და მათ შემადგენლობაში ხშირად შედიან საჯარო სკოლის დირექტორები. ზ.ს. აღნიშნავს, რომ გაკვეთილებზე დასასწრებად მოსწავლეთა მობილიზებაში სკოლის დირექტორები იყვნენ ჩართულნი, მიმდინარე ეტაპზე კი უკვე გავრცელებულია ინფორმაცია “სამშობლოსმცოდნეობის” შესახებ და მოსწავლეები, მშობლებთან ერთად, საკუთარი ინიციატივით ესწრებიან გაკვეთილებს. ზ.ს.-ს მიხედვით, ჩოხოსანთა საზოგადოებამ განახორციელა სატელეფონო ზარები საქართველოში არსებული ყველა სკოლის დირექტორთან და მოინიშნეს ინფორმაცია იმის თაობაზე თუ დირექტორებიდან ვინ დათანხმდა გაკვეთილების ორგანიზებაში თანამშრომლობას და ვინ არა⁸. ზ.ს.-ს მიხედვით, ის დირექტორები, რომლებიც დათანხმდნენ თანამშრომლობას, მათდამი დაქვემდებარებული სკოლებიდან მცისიერად უზრუნველყოფენ ბავშვების გაკვეთილებზე დასწრების უზრუნველყოფას.⁹

¹ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <<https://bit.ly/3bH05Vw>> ასევე, <<https://bit.ly/3nvaLtD>> ასევე, <<https://bit.ly/38uMy0z>> [ბოლოს ნანახია: 23/02/21]

² ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <<https://bit.ly/3rMBIR8>> 13:25 წუთიდან [ბოლოს ნანახია: 23/02/21]

³ ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <<https://bit.ly/38AawZ6>> [ბოლოს ნანახია: 23/02/21]

⁴ ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <<https://bit.ly/3lhkLqm>> 10:19:05 წუთიდან [ბოლოს ნანახია: 23/02/21]

⁵ ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <<https://bit.ly/2OL3v0l>> 55:21 წუთიდან [ბოლოს ნანახია: 24/02/21]

⁶ ინფორმაცია ხელმისაწვდომია: <<https://bit.ly/3leSQHs>> 1:19:10 წუთიდან [ბოლოს ნანახია: 24/02/21]

⁷ ინფორმაცია ხელმისაწვდომია: <<https://bit.ly/38D2ApL>> [ბოლოს ნანახია: 24/02/21]

⁸ ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <<https://bit.ly/3laJEE0>> 50:10 წუთიდან [ბოლოს ნანახია: 23/02/21]

⁹ ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <<https://bit.ly/30CHbc2>> 50:52 წუთიდან [ბოლოს ნანახია: 22/02/21]

სკოლის ადმინისტრაციის ჩართულობაზე მოსწავლეთა მობილიზებაში ინფორმაციას ადასტურებს ერთ-ერთი მშობელი, თ. ჯ., რომელმაც სოციალურ ქსელში და სხვა მედია საშალებებთან მიცემულ ინტერვიუებში განაცხადა, რომ მის შვილს არასავალდებულო საგნის, “სამშობლოსმცოდნეობის” დამატების შესახებ შეტყობინება სკოლიდან მიუვიდა¹⁰.

ონლაინ ხელმისაწვდომი გაკვეთილის რამდენიმე ჩანაწერის¹¹ გაცნობის შედეგად, იკვეთება შემდეგი გარემოებები:

- გაკვეთილებს მკაფიოდ გამოხატული კონფესიური შინაარსისა და აგებულია მართლმადიდებლურ რელიგიაზე; საგნის სწავლების დროს ხორციელდება მოსწავლეთა კატეხიზაცია - სარწმუნოებრივი განათლების გადაცემა; გაკვეთილები შეიცავს ქადაგებას, სრულდება რელიგიური რიტუალები - პირჯვრის გარდასახვა, ლოცვა და ა.შ.¹²;
- გაკვეთილები მოიცავს მკვეთრად ეთნიკური ნაციონალისტური ხასიათის შინაარსს. სამშობლოსადმი მიკუთვნებულობა ექსკლუზიურად ქართული ეთნიკური წარმომავლობისა და მართლმადიდებლობის ნიშნითაა განხილული. საუბარია ქართველების გენეტიკისა და ჯიშის განსაკუთრებულობაზე, ქართული ისტორიული წარმომავლობის უპირატესობაზე, გენეტიკის გაფრთხილების აუცილებლობაზე, რაც გამოიხატება ისეთ გავრცელებულ დებულებებში, როგორცაა: **“დღეს ჩვენი გოგოები კი არ უფროთხილდებიან ქართულ გენეტიკას, არამედ უცხოელების სათამაშო გახდნენ...”**¹³, რაც შესაძლოა, ეთნოცენტრიზმის წახალისებადაც აღვიქვათ;
- სამშობლოს იდეა არ არის წარმოდგენილი მულტიკულტურალიზმის ჭრილში, სადაც თანასწორუფლებიანობის პრინციპით შესაძლოა თანაცხოვრობდნენ სხვადასხვა ეთნიკური/ეროვნული/რელიგიური უმცირესობების წარმომადგენლები. ისტორიულ პიროვნებებზე საუბრის დროს არ მოიხსენიებიან არაქართველი მოღვაწეები, რომელთაც ქვეყნის კულტურულ და საზოგადოების მშენებლობის პროცესებში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს;
- გაკვეთილების მიმდინარეობისას, ხდება სქესის ნიშნით დისკრიმინაციული და სტერეოტიპული შეხედულებების ტირაჟირება¹⁴; ქალები, რომლებიც განვითარებასა და კარიერულ წინსვლას ირჩევენ, ოჯახისა და საზოგადოების საფრთხედ არიან მიჩნეული.¹⁵ ქალის მთავარ ღირსებად მიჩნეულია მორჩილება¹⁶, ამასთან საუბარია ქალთა იმგვარ ჩაცმულობაზე, რაც მათ სხეულს დაფარავს, კერძოდ, მსმენელი აუდიტორიისთვის ხდება შემდეგნაირი შინაარსის შემცველი სწავლება: **“თქვენი სილამაზე [...] დამალეთ, რომ შევიდეს გულში ქრისტე, [...] შემოსე შენი თავი, დაფარე შენი თავი, შეფუთე [...] შენი სილამაზე, [...] ეს არამარტო შენი ბედნიერების საწინდარია, არამედ საქართველოს გადარჩენაა [...]”**¹⁷;

¹⁰ ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <<https://bit.ly/3r0FbG4>> [ბოლოს ნანახია: 27/02/21]

¹¹ ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <<https://bit.ly/3qHVI0g>> ასევე, <<https://bit.ly/2Km4UJ6>> და <<https://bit.ly/3gX1EzH0>> [ბოლოს ნანახია: 23/02/21]

¹² ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <<https://bit.ly/38Ezi0i>> 6:15 წუთიდან [ბოლოს ნანახია: 24/02/21]

¹³ ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <<https://bit.ly/3qHTuy7>> [ბოლოს ნანახია: 22/02/21]

¹⁴ 13:34 წუთიდან, იხ: <<https://bit.ly/3ldZGNi>> [ბოლოს ნანახია: 22/02/21]

¹⁵ ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <<https://bit.ly/3k4DswS>> [ბოლოს ნანახია: 23/02/21]

¹⁶ ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <<https://bit.ly/3bGYor5>> 14:20 წუთიდან [ბოლოს ნანახია: 24/02/21]

¹⁷ ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <<https://bit.ly/3bJMFYT>> 23:37 წუთიდან [ბოლოს ნანახია: 25/02/21]

- ამასთან, გაისმის რადიკალური მოსაზრებები რიგ საკითხებზე, მაგ: აბორტი „კაცისკვლად“ მოიხსენიება და ქართული კანონმდებლობით დაშვებულ მკვლევლობად¹⁸;
- გაკვეთილებზე ჟღერდება შეთქმულების თეორიები; მაგ: განსაკუთრებულ საფრთხედ და 'ემმაკის გეგმადაა' წარმოჩენილი გლობალიზაციის პროცესი, ლ.გ.-ს მიხედვით, იგეგმება *“ერთიანი საყოველთაო არჩევნები, სადაც ანტიქრისტიე გაიმარჯვებს”*¹⁹;
- დასავლური ღირებულებები და ევროპული იდეოლოგია წარმოჩენილია ანტიეროვნულ ფენომენად, რომელიც მიზნად ისახავს ქართველების მიერ საქართველოს მიტოვებას, სამშობლოს შეძულებას, ასევე, ფესვებთან, ეროვნებასთან და ტრადიციებთან ბრძოლას²⁰;
- გლობალური საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მოიხსენიება ნატო და ქართველი მეომრები, რომლებიც ტყუილად ეწირებიან ამ ორგანიზაციის ინტერესებს²¹; ამასთან, ამერიკა მოხსენიებულია დამპყრობელ და ოკუპანტ ქვეყნებს შორის, რომლის გავლენის ქვეშაც მოექცა მთელი საქართველო (*“დასავლეთ საქართველოდან თურქები შემოდის და გვანადგურებდნენ, აღმოსავლეთ საქართველოდან [...] გამუდმებით ირანი უტევდა, [...] ახლა უკვე, რამოდენიმე ასეული წელია რუსეთის და ახლა უკვე ნელ-ნელა ამერიკის გავლენის ქვეშ მოექცა მთელი საქართველო, სამწუხაროდ”*)²²;
- გაკვეთილებზე ისმის მონარქიის იდეის პროპაგანდა, კერძოდ, ლ.გ მიუთითებს, რომ ილია ჭავჭავაძის მიერ ქართველებისთვის დატოვებული ანდერძის თანახმად, საქართველო მეფის არსებობის გარეშე ვერ გაბრწყინდება²³; ლ.გ.-ს მტკიცებით, პატრიარქმა საიდუმლოდ ისაუბრა საქართველოში მეფის არსებობის სიტუაციის მომწიფების შესახებ, კერძოდ, მეფობის რამოდენიმე კანდიდატს ფარულად ზრდიან, რომლებიც მალე გამოჩნდებიან ხალხის წინაშე; ²⁴
- ლ.გ.-ს სწავლების მიხედვით, საქართველო ერთადერთი ქვეყანაა მსოფლიოში მრავალრიცხოვანი პარტიების არსებობის კუთხით; იგი საუბრობს ერთპარტიულობის უპირატესობის იდეაზე და ჩინეთზე, როგორც ასეთი ქვეყნის წარმატებულ მაგალითზე²⁵; გაკვეთილებზე სამოქალაქო ჩართულობის, პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის საწინააღმდეგოდ, ლ.გ. აღნიშნავს, რომ საქართველოს მოსახლეობისთვის საკმარისი უნდა იყოს მხოლოდ ოჯახის საქმეებზე ზრუნვა და საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში ჩარევის აუცილებლობას ვერ ხედავს²⁶. ასევე, ისმის სამოქალაქო სექტორისა და უფლებების დაცვაზე მომუშავე ორგანიზაციებისა და გენდერული თანასწორობის იდეის მიმართ ისეთი შეურაცხმყოფელი ფრაზები, როგორცაა: *“ტინს გვიჭამენ ახლა, რომ უნდა გავუსწოროთ ქალი და კაცი და აღარ იციან რა სისულელები მოიგონონ და ტელევიზორში აყეფებენ, აყეფებენ და [...] მიჭრიან-მოჭრიან და კარგ კადრებს ამოიღებენ და მარტო დატოვებენ რომ - ემანსიპაცია, რატომ დაჩაგრეთ ქალები და ა.შ.”*²⁷;

¹⁸ ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <<https://bit.ly/3bJV5iY>> 7:10 წუთიდან [ბოლოს ნანახია: 23/02/21], ასევე, 8:25 წუთიდან, იხ: <<https://bit.ly/2ONYmVs>> [ბოლოს ნანახია: 23/02/21]

¹⁹ ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <<https://bit.ly/3bJrjDU>> 8:18 წუთიდან [ბოლოს ნანახია: 23/02/21]

²⁰ ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <<https://bit.ly/3eIPw5Y>> 4:10 წუთიდან, ასევე, 55:50 წუთიდან: <<https://bit.ly/3bG0jfw>> ასევე, იხ: 8:18 წუთიდან, <<https://bit.ly/2PPYR1x>> ასევე, 9:06 წუთიდან, იხ: <<https://bit.ly/2ZwmM7X>> [ბოლოს ნანახია: 24/02/21]

²¹ ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <<https://bit.ly/3vmyv7F>> 41:10 წუთიდან [ბოლოს ნანახია: 20/02/21]

²² ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <<https://bit.ly/3bOnDId>> 3:26 წუთიდან [ბოლოს ნანახია: 20/02/21]

²³ ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <<https://bit.ly/3cqy7MR>> 21:15 წუთიდან [ბოლოს ნანახია: 21/02/21]

²⁴ 20:52 წუთიდან, იხ: <<https://bit.ly/3tdb6Ur>> [ბოლოს ნანახია: 23/02/21]

²⁵ ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <<https://bit.ly/3cvsdaq>> 40:20 წუთიდან [ბოლოს ნანახია: 23/02/21]

²⁶ ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <<https://bit.ly/3qLPrRF>> 39:50 წუთიდან [ბოლოს ნანახია: 23/02/21]

²⁷ ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <<https://bit.ly/3cx88mK>> 24:27 წუთიდან [ბოლოს ნანახია: 25/02/21]

სახალხო დამცველის აპარატმა 2020 წლის 18 დეკემბერს N17/12494 წერილით განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსგან მოითხოვა ინფორმაცია იმის შესახებ, იყო თუ არა უწყება ინფორმირებული “სამშობლოსმცოდნეობის” გაკვეთილების შესახებ. სამინისტროს 28 დეკემბრის MES 9 20 0001232860 პასუხის თანახმად, უწყებისთვის “სამშობლოსმცოდნეობის” ონლაინ გაკვეთილების შესახებ ინფორმაცია არ იყო ცნობილი. ამასთან, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა საჯაროდ გავრცელებულ ონლაინ შეხვედრის ჩანაწერში მოხსენიებულ საჯარო სკოლების დირექტორებსა და შესაბამისი ტერიტორიული ერთეულის საგანმანათლებლო რესურსცენტრებს მიმართა წერილებით²⁸ ინფორმაციის გამოთხოვის მიზნით, “სამშობლოსმცოდნეობის” საგნის ორგანიზებაში ჩართულობისა და ამ საგნის სტატუსის თაობაზე. აღნიშნულ წერილებზე პასუხად:

- 2021 წლის 28 იანვრის MES 4 21 0000035666 წერილით, სამეგრელოს რეგიონის საგანმანათლებლო რესურსცენტრმა უარყო ჩართულობა “სამშობლოსმცოდნეობის” გაკვეთილების ორგანიზების პროცესში;
- 2021 წლის 5 თებერვლის MES 3 21 0000067381 წერილით, კახეთის რეგიონის ერთერთმა საგანმანათლებლო რესურსცენტრმა უარყო მის სამოქმედო ტერიტორიაზე რომელიმე საჯარო სკოლის ადმინისტრაციის ჩართულობა საგნის ორგანიზებაში და აღნიშნა, რომ აღნიშნულ საგანთან დაკავშირებით არ ფლობდა ინფორმაციას;
- 2021 წლის 7 თებერვლის MES 3 21 0000069938 წერილით, შიდა ქართლის რეგიონის საგანმანათლებლო რესურსცენტრმა გვაცნობა, რომ აქამდე არ ფლობდა ინფორმაციას ხსენებული გაკვეთილების შესახებ და სამომავლოდ შეისწავლიდა აღნიშნულ საკითხს;
- მიუხედავად სკოლის ადმინისტრაციის მიერ საჯაროდ გავრცელებული განცხადებისა, “სამშობლოსმცოდნეობის” გაკვეთილებზე იმერეთის რეგიონის საჯაროს სკოლის მოსწავლეთა ჩართულობის შესახებ, 2021 წლის 23 თებერვლის MES 9 21 0000150591 წერილით, სკოლის დირექტორმა უარყო სკოლის მონაწილეობა მოსწავლეთა ონლაინ გაკვეთილებზე ჩართულობის ხელშეწყობაში;
- “სამშობლოსმცოდნეობის” გაკვეთილების ორგანიზაციული და ფინანსური ხელშეწყობის შესახებ ინფორმაცია დაადასტურა ქვემო ქართლის რეგიონის ერთერთმა საგანმანათლებლო რესურსცენტრმა, რომელმაც აღნიშნა, რომ რეგიონის ორ საჯარო სკოლაში “სამშობლოსმცოდნეობის” საგანი ისწავლებოდა უფასო ფაკულტატური წრის სახით 2020 წლის 2 მარტამდე, განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2016 წლის 18 მაისის N40/ნ ბრძანებით დამტკიცებული “ეროვნული სასწავლო გეგმის” 22-ე მუხლის შესაბამისად და ამ საგნის დაფინანსება ორივე სკოლის მიერ ხორციელდებოდა ეკონომიკური შემოსავლებიდან მიღებული თანხებით. რესურსცენტრის

²⁸ 2021 წლის 21 იანვრის წერილი N17/427 ქ. სენაკის საგანმანათლებლო რესურსცენტს

- 2021 წლის 21 იანვრის წერილი N17/425 ქ. თელავის საგანმანათლებლო რესურსცენტრს

- 2021 წლის 21 იანვრის წერილი N17/424 ქ. გორის საგანმანათლებლო რესურსცენტრს

- 2021 წლის 21 იანვრის წერილი N17/426 ქ. რუსთავის საგანმანათლებლო რესურსცენტრს

- 2021 წლის 15 თებერვლის წერილი N 17/1513 გორის რაიონის სოფელი ყელქცეულის საჯარო სკოლის დირექტორს

- 2021 წლის 15 თებერვლის წერილი N 17/1512 ქ. რუსთავის N2 საჯარო სკოლის დირექტორს

- 2021 წლის 15 თებერვლის წერილი N 17/1511 ქ. წყალტუბოს ოტია იოსელიანის სახელობის N1 საჯარო სკოლის დირექტორს

განმარტებით, მიმდინარე ეტაპზე აღნიშნული საგნის სწავლება მის სამოქმედო ტერიტორიაზე, უწყების ხელთ არსებული მონიტორინგის შედეგების მიხედვით, არ მიმდინარეობს;

- 2021 წლის 22 თებერვლის MES 5 21 0000144107N2 წერილით ქვემო ქართლის საჯარო სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა, ქ-ნმა ლ.ე.-მ დაადასტურა გასულ წელს “სამშობლოსმცოდნეობის”, როგორც ფაკულტატური დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურების შეთავაზება მე-5 კლასის მოსწავლეთათვის;
- 2021 წლის 26 თებერვლის MES 1 21 0000167261 წერილით გორის მუნიციპალიტეტის ერთერთი საჯარო სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა, ქ-ნმა მ. ტ.-მ გვაცნობა, რომ ვიდეო ჩანაწერში საუბრობს სამშობლოზე და არა “სამშობლოსმცოდნეობაზე” და ამ ეტაპზე სკოლაში არ ისწავლება “სამშობლოსმცოდნეობის” საგანი.

სამართლებრივი შეფასება

სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის სეპარაციის პრინციპი აღიარებულია საქართველოს კონსტიტუციითა და კონსტიტუციური შეთანხმებით სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის.”²⁹

გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენციის თანახმად, ბავშვის განათლება მიმართული უნდა იყოს ბავშვის პიროვნების, ნიჭის, გონებრივი და ფიზიკური უნარების სრული განვითარებისაკენ; ბავშვისათვის ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებებისადმი, აგრეთვე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებაში განცხადებული პრინციპებისადმი პატივისცემის გაღვივებისაკენ; ამასთან, თავისუფალ საზოგადოებაში ურთიერთგაგების, მშვიდობის, შემწყნარებლობის, ქალისა და მამაკაცის, ყველა ხალხის, ეთნიკური, ეროვნული და რელიგიური ჯგუფების, მათ შორის მკვიდრი მოსახლეობის წარმომადგენელთა მიმართ თანასწორობისა და მეგობრობის სულისკვეთებით ბავშვის შეგნებული ცხოვრებისათვის მომზადებისაკენ³⁰.

გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენციის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ბავშვის მიმართ ყველა ქმედების განხორციელებისას უპირველესი ყურადღება უნდა დაეთმოს ბავშვის საუკეთესო ინტერესის უზრუნველყოფას. გაეროს ბავშვის უფლებების კომიტეტი, თავის ზოგად კომენტარში N14 აღნიშნავს³¹, რომ ბავშვის საუკეთესო ინტერესის დაცვის პრინციპი გულისხმობს, რომ აღნიშნული გათვალისწინებული უნდა იყოს როგორც საჯარო, ასევე, კერძო სფეროში ბავშვთან დაკავშირებული ქმედებების განხორციელებისა, თუ გადაწყვეტილების მიღების პროცესში. ბავშვის საუკეთესო ინტერესის კონცეფცია გულისხმობს კონვენციით გათვალისწინებული ბავშვის უფლებების სრულ დაცვას და განხორციელებას³².

²⁹ საქართველოს კონსტიტუცია, მე-8 მუხლი.

³⁰ გაეროს “კონვენცია ბავშვის უფლებების შესახებ”, 29-ე მუხლი.

³¹ General comment No. 14 (2013) on the right of the child to have his or her best interests taken as a primary consideration (art. 3, para. 1), 2013 წლის 29 მაისი, ხელმისაწვდომია: < <https://bit.ly/2QXH60N> >

³² იქვე. თავი IV, პუნქტი 3.

განათლების სფეროში ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვაზეა ორიენტირებული ბავშვის უფლებათა კოდექსი, რომელიც ხარისხიანი განათლების ამოსავალ წერტილად ბავშვში ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების მიმართ პატივისცემის გრძნობის განვითარებას მიიჩნევს³³, ასევე პატივისცემის გაღვივებას განსხვავებული კულტურისა და ცივილიზაციის მიმართ³⁴, ბავშვის დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის მომზადებას შემწყნარებლობის, თანასწორობის, ეთნიკური, ეროვნული, რელიგიური და სხვა ნიშნებით განსხვავებულ ადამიანებს, ჯგუფებსა და ხალხებს შორის მეგობრობის სულისკვეთებით³⁵. საგულისხმოა, რომ აღნიშნული მიზნების მიღწევას უნდა ემსახურებოდეს არა მხოლოდ ფორმალური, არამედ ასევე არაფორმალური განათლებაც³⁶. აღნიშნული ჩანაწერი კიდევ უფრო აფართოვებს სახელმწიფოს ვალდებულებას განათლების სფეროს კონტროლის კუთხით და კონკრეტული, ქმედითი მექანიზმის დანერგვას მოითხოვს მუხლის პრაქტიკაში რეალიზებისთვის.

სამწუხაროდ, კოდექსი მასში ფორმულირებული მიზნების პარალელურად ბავშვთა უფლებათა კოდექსი არ მოიცავს შესაბამის ეფექტურ აღსრულების მექანიზმებს, რაც მეტად მნიშვნელოვანია სკოლებისთვის მინიჭებული ფართო ავტონომიის ფონზე. ეს ბუნებრივად ართულებს კონტროლის სფეროს მიღმა არსებული არაფორმალური განათლების კომპონენტის მონიტორინგს.

2005 წელს მიღებულმა კანონმა ზოგადი განათლების შესახებ საჯარო სკოლის ერთ-ერთ მთავარ პრინციპად აღიარა მისი დამოუკიდებლობა რელიგიური გაერთიანებებისგან.³⁷ კანონი მიზნად ისახავს სეკულარული და თანასწორობის პრინციპზე დაფუძნებული სასწავლო გარემოს შექმნას და ხაზგასმით მიუთითებს, რომ დაუშვებელია საჯარო სკოლაში სასწავლო პროცესის რელიგიური ინდოქტრინაციისა და პროზელიტიზმის მიზნებისთვის გამოყენება.³⁸

საჯარო სკოლებში რელიგიური ნეიტრალურობის პრინციპის დარღვევის შესახებ სახალხო დამცველის მხრიდან არაერთი წინადადება იქნა გაცემული, რომლებშიც ხაზგასმული იყო მონიტორინგის საჭიროება პროზელიტიზმის და ინდოქტრინაციის პრევენციის მიზნებისთვის. აღნიშნული საჭიროება კიდევ უფრო გაიზარდა მას შემდეგ, რაც 2018 წელს ინიცირებულმა რეფორმამ („ახალი სკოლის მოდელი“) სკოლებს ავტონომიისა და დეცენტრალიზაციის მაღალი ხარისხი, ასევე უნიფიცირებულიდან დიფერენცირებულ მიდგომაზე გადასვლა შესთავაზა. აღნიშნული რეფორმის ფარგლებში ზოგადი განათლების შესახებ კანონმდებლობაში განხორციელდა ცვლილება, რომლის თანახმადაც სკოლებს მიენიჭათ დამოუკიდებლობა მოსწავლეებს შესთავაზონ ეროვნული სასწავლო გეგმით გაუთვალისწინებელი დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო ღონისძიებები, სავალდებულო ან ფაკულტატური სახით³⁹.

³³ “ბავშვის უფლებათა კოდექსი” საქართველოს კანონი, მიღებული 2019 წლის 20 სექტემბერს, 2021 წლის 23 თებერვლის მდგომარეობით, 36-ე მუხლი, 1-ლი პუნქტი, “ზ” ქვეპუნქტი.

³⁴ იქვე, “გ” ქვეპუნქტი.

³⁵ იქვე, “დ” ქვეპუნქტი.

³⁶ “ბავშვის უფლებათა კოდექსი”, 36-ე მუხლი, 1-ლი პუნქტი.

³⁷ “ზოგადი განათლების შესახებ” საქართველოს კანონი, მიღებული 2005 წლის 08 აპრილს, 2021 წლის 23 თებერვლის მდგომარეობით მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი.

³⁸ იქვე, მე-13 მუხლი.

³⁹ “ზოგადი განათლების შესახებ” საქართველოს კანონი, მიღებული 2005 წლის 08 აპრილს, 2021 წლის 23 თებერვლის მდგომარეობით 33-ე მუხლის მე-4 პუნქტი. ასევე, „ეროვნული სასწავლო გეგმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს

ზემოხსენებული ავტონომია სკოლებს იმ ხარისხითა და ფარგლებით ენიჭებათ, რაც ზოგადი განათლების ეროვნული მიზნებისა და ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული მიზნების მიღწევისთვისაა აუცილებელი⁴⁰. ხსენებული მიზნები კი მოიცავს მოსწავლეში ადამიანის უფლებების დაცვისა და პიროვნების პატივისცემის უნარის განვითარებას, ტოლერანტობისა და განსხვავებულის მიმღებლობის დამკვიდრებას⁴¹. ეროვნული სასწავლო გეგმის პრიორიტეტულ თემებს შორის კი მოხსენიებულია კულტურული მრავალფეროვნება და ადამიანის უფლებები⁴².

სახელმწიფო კონტროლის განხორციელების მიზნით ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნების შესრულების ზედამხედველობაზე ვალდებულება განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ეკისრება⁴³. ამასთანავე, საჯარო სკოლის დონეზე დემოკრატიული ღირებულებებისა და ადამიანის უფლებათა პატივისცემის გარემოს შექმნასთან დაკავშირებით პასუხისმგებლობა ენიჭება სკოლის დირექტორსა და პედაგოგს. საჯარო სკოლის დირექტორის სტანდარტი დირექტორს ავალდებულებს უზრუნველყოს თანასწორუფლებიანი გარემო.⁴⁴ სკოლის დირექტორის ეთიკის კოდექსშიც სკოლაში დემოკრატიული და სამოქალაქო ღირებულებების დამკვიდრების⁴⁵, ადამიანის უფლებათა დაცვის მთავარ გარანტად დირექტორია მითითებული⁴⁶. დირექტორის ეთიკის კოდექსი ასევე იცავს სკოლის რელიგიური ნეიტრალიტეტის პრინციპს, მიუთითებს რა, რომ *"სკოლის დირექტორი არ ეწევა რელიგიურ (გარდა იმ სკოლების დირექტორებისა, რომლებიც ეწევიან რელიგიურ საგანმანათლებლო საქმიანობას) და პოლიტიკურ პროპაგანდას"*⁴⁷, ხოლო ეთიკის კოდექსის დარღვევის შემთხვევაში განსაზღვრავს პასუხისმგებლობას კანონმდებლობის შესაბამისად⁴⁸. პედაგოგების პასუხისმგებლობასთან დაკავშირებით კი უნდა აღინიშნოს, რომ მასწავლებლის პროფესიული ეთიკის კოდექსი ავალდებულებს მათ მოსწავლეებთან არ განახორციელონ რელიგიური (გარდა იმ სკოლებისა, რომლებიც ეწევიან რელიგიურ საგანმანათლებლო საქმიანობას) და პოლიტიკური პროპაგანდა.⁴⁹

განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 18 მაისის N40/ნ ბრძანების პირველი მუხლით დამტკიცებული დებულების 22-ე მუხლი, მე-2 და მე-3 პუნქტები, 2021 წლის 25 თებერვლის მდგომარეობით.

⁴⁰ „ეროვნული სასწავლო გეგმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 18 მაისის N40/ნ ბრძანების პირველი მუხლით დამტკიცებული დებულების 22-ე მუხლი.

⁴¹ „ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების“ დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის დადგენილება N84, მიღებული 2004 წლის 18 ოქტომბერს, 2021 წლის 23 თებერვლის მდგომარეობით, “თ” პუნქტი.

⁴² საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის N40/ნ ბრძანებით დამტკიცებული ეროვნული სასწავლო გეგმა, მიღებული 2016 წლის 18 მაისს, 2021 წლის 23 თებერვლის მდგომარეობით, მე-7 მუხლი.

⁴³ „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი, მიღებული 2005 წლის 08 აპრილს, 2021 წლის 2 მარტის მდგომარეობით, 49-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტები.

⁴⁴ „საჯარო სკოლის დირექტორის სტანდარტის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ბრძანება N15/ნ, მიღებული 2020 წლის 31 იანვარს, 2021 წლის 23 თებერვლის მდგომარეობით, მე-7 მუხლის “დ” პუნქტი.

⁴⁵ „სკოლის დირექტორის ეთიკის კოდექსის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება N80/ნ, მიღებული 2010 წლის 30 აგვისტოს, 2021 წლის 23 თებერვლის მდგომარეობით მე-5 მუხლი, მე-2 პუნქტი.

⁴⁶ იქვე, მე-3 მუხლი, მე-4 პუნქტი.

⁴⁷ იქვე, მე-3 მუხლი, მე-12 პუნქტი.

⁴⁸ იქვე, მე-7 მუხლი.

⁴⁹ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 ივლისის ბრძანება N57/ნ, მასწავლებლის პროფესიული ეთიკის კოდექსის დამტკიცების შესახებ, 2021 წლის 3 აპრილის მდგომარეობით, მე-4 მუხლის მე-9 პუნქტი.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სისტემაში შემავალი დაწესებულებების საქმიანობის საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობის შეფასებასა და მონიტორინგს ახორციელებს სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტი⁵⁰. მნიშვნელოვანია, რომ სასწავლო დაწესებულებების ინსპექტირება შესაძლოა განხორციელდეს, როგორც სხვადასხვა წყაროზე (მათ შორის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით გავრცელებული ინფორმაციაზე) დაყრდნობით, ასევე აუდიტის დეპარტამენტის საკუთარი ინიციატივით⁵¹.

სასკოლო სივრცეში რელიგიის სწავლებასთან დაკავშირებით კომპლექსურ და ადამიანის უფლებების პრინციპებთან შესაბამისობაში მყოფ მიდგომას გვთავაზობს საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციები საჯარო სკოლებში რელიგიისა განათლების შესახებ. ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის მიერ დამტკიცებული რეკომენდაცია CM/Rec (2008)12, განსაზღვრავს საჯარო სკოლებში რელიგიური სწავლების ძირითად პრინციპებს და ხაზს უსვამს რელიგიური თემების სწავლების პროცესში მორალური და სამოქალაქო ღირებულებების ინტეგრირებას დისციპლინათაშორისი მიდგომის მეშვეობით; ასევე, *“ადამიანის უფლებებისადმი (მათ შორის, გენდერული თანასწორობისადმი), მშვიდობის, დემოკრატიული მოქალაქეობის, დიალოგისა და სოლიდარობისადმი გულისხმიერი დამოკიდებულების”* გამომუშავებას⁵².

ზემოხსენებული რეკომენდაციის მიხედვით, რელიგიური სწავლება ინტერკულტურულ დიალოგს, ტოლერანტობისა და “თანაცხოვრების” კულტურის ფორმირებას უნდა უწყობდეს ხელს⁵³. აღნიშნულის საპირისპიროდ, “სამშობლოსმცოდნეობის” გაკვეთილებზე არ მოიხსენიებიან საქართველოში მცხოვრები სხვადასხვა ეროვნული/ეთნიკური/რელიგიური უმცირესობების წარმომადგენლები, არ განიხილება მათი კულტურა და ტრადიციები, როგორც ქვეყნის ისტორიული მრავალფეროვნების, მრავალეთნიკურობის და მულტიკულტურალიზმის განუყოფელი ნაწილი.

2007 წელს ეუთოს მიერ მიღებული “ტოლედოს სახელმძღვანელო პრინციპები რელიგიისა და რწმენის სწავლებაზე საჯარო სკოლებში” მოუწოდებს ეუთოს წევრ სახელმწიფოებს უზრუნველყონ, რომ *“მოსწავლეებმა რელიგიისა და რწმენის შესახებ ცოდნა მიიღონ ადამიანის უფლებების, ფუნდამენტური თავისუფლებებისა და სამოქალაქო ღირებულებების პატივისცემის”* სწავლების კვალდაკვალ⁵⁴. რელიგიათა ინტერპრეტაციის დროს ქალების უფლებების დარღვევისა და გენდერული სტერეოტიპების გამყარების რისკს ეხმიანება ევროპის

⁵⁰ “საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტის დებულების დამტკიცების შესახებ” საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ბრძანება N11/ნ, მიღებული 2019 წლის 12 თებერვალს, 2021 წლის 24 თებერვლის მდგომარეობით, მე-6 მუხლი, 1-ლი პუნქტის “ვ” ქვეპუნქტი.

⁵¹ იქვე, მე-19 მუხლი, მე-3 და მე-4 პუნქტები.

⁵² “რელიგიებისა და არარელიგიური რწმენების განზომილების შესახებ ინტერკულტურულ განათლებაში” ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია CM/Rec (2008)12 და განმარტებითი მემორანდუმი, ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <<https://bit.ly/37LJ0XW>> [ბოლოს ნანახია: 25/02/21].

⁵³ იქვე.

⁵⁴ “ტოლედოს სახელმძღვანელო პრინციპები რელიგიისა და რწმენის სწავლებაზე საჯარო სკოლებში” (ტოლედოს პრინციპები), ეუთო (2007), დემოკრატიის ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის (ODIHR) მრჩეველთა საბჭო რელიგიისა და რწმენის თავისუფლებაზე; ძირითადი პრინციპი #1, ხელმისაწვდომი ვებგვერდზე: <<https://bit.ly/2NdRsYW>> [ბოლოს ნანახია: 25/02/21].

საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის რეზოლუცია 1464 (2005) “ქალებსა და რელიგიაზე ევროპაში”, რომელიც მოუწოდებს წევრ ქვეყნებს ქალების მიმართ რელიგიით დეტერმინირებული სტერეოტიპული დამოკიდებულებების პრევენცია მოახდინონ. რეზოლუციის მიხედვით:

“ქალთა უფლებები ხშირად იზღუდება ან ილახება რელიგიის სახელით, მიუხედავად იმისა, რომ ძირითადი რელიგიების უმეტესობა ღვთის წინაშე ქალისა და მამაკაცის თანასწორობას აღიარებენ, ისინი გარკვეულ როლებს ანიჭებენ ქალსა და მამაკაცს. რელიგიური მოტივით გენდერულმა სტერეოტიპებმა მამაკაცებს უპირატესობის გრძნობა გაუღვივეს, რამაც ქალების მიმართ მამაკაცთა დისკრიმინაციული მოპყრობა განაპირობა და ზოგიერთ შემთხვევაში ეს ძალადობაშიც გამოიხატება.”⁵⁵

აღნიშნული პრინციპების საპირისპიროდ, “სამშობლოსმცოდნეობის” გაკვეთილებზე ხდება დისკრიმინაციული მიდგომების ტირაჟირება, განსაკუთრებით კი ქალთა უფლებებისა და გენდერული თანასწორობასთან დაკავშირებით. ქალთა როლი ოჯახს არ სცილდება და მის მთავარ ღირსებად მორჩილება სახელდება, ხოლო განათლებული და წარმატებული ქალები, ოჯახის, როგორც ეროვნული ტრადიციული ინსტიტუტისა და ქართული საზოგადოების მტრად მიიჩნევა.

რელიგიის სწავლებისას სტერეოტიპული შეხედულებების ფორმირების პრევენციას ეხება ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის რეკომენდაცია #1720 რელიგიისა და განათლების შესახებ, რომელიც რელიგიის თემებზე განათლების მთავარ დანიშნულებად “უცოდინრობის გავრცელების თავიდან აცილებას, სტერეოტიპული აზროვნებისა და გაუგებრობის აღმოფხვრას”⁵⁶ მიიჩნევს და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის ღირებულებათა პატივისცემის ჩანერგვას ისახავს მიზნად⁵⁷. სამწუხაროდ, “სამშობლოსმცოდნეობის” გაკვეთილებზე არათუ ევროპული კონვენციის ღირებულებების პატივისცემა, არამედ დასავლური სამყაროს დემონიზება ხდება, რომლის მთავარ მოტივად ცხადდება დაგვაკარგვინოს ეროვნული იდენტობა და ტრადიციები.

რწმენის თავისუფლების უნივერსალურ ღირებულებას ეწინააღმდეგება გაკვეთილებზე სხვა ძირითადი რელიგიების დაკნინების ხარჯზე მართლმადიდებლური რწმენის ერთადერთ ჭეშმარიტ რელიგიად წარმოჩენა. აღნიშნული მიდგომა შეუსაბამოა საერთაშორისო და რეგიონულ რეკომენდაციებთან რელიგიათა ნეიტრალური და ობიექტური სწავლების შესახებ. ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის N1720 რეკომენდაცია მიუთითებს, რომ:

“ზავშეებისთვის ძირითადი რელიგიების ისტორიისა და ფილოსოფიის ობიექტური სწავლებით და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის ღირებულებათა პატივისცემის ჩანერგვით, შესაძლებელია რელიგიურ ფანატიზმთან ეფექტური ბრძოლა. ამ მიზნით, რელიგიურ ნიადაგზე მომხდარი კონფლიქტების ისტორიის გაგებას არსებითი მნიშვნელობა აქვს, [...] ისეთ ქვეყნებშიც კი, სადაც დომინირებს ერთი კონკრეტული რელიგია, უნდა ისწავლებოდეს ყველა ძირითადი რელიგიის

⁵⁵ ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის რეზოლუცია 1464(2005), მიღებული 2005 წლის 4 ოქტომბერს, მე-2 პუნქტი, ხელმისაწვდომი ვებგვერდზე: <<https://bit.ly/2O7mjGO>> [ბოლოს ნანახია: 25/02/21].

⁵⁶ ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის 2005 წლის 4 ოქტომბრის N1720 რეკომენდაცია რელიგიისა და განათლების შესახებ, მე-7 პუნქტი. ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <<https://bit.ly/3qKlnFY>> [ბოლოს ნანახია: 25/02/21]

⁵⁷ იქვე, მე-6 პუნქტი.

წარმომავლობა და უპირატესობა არ უნდა მიენიჭოს ერთადერთ რელიგიას. დაუშვებელია მხარდაჭერილ იყოს პროზელიტიზმი.”⁵⁸

საჯარო სკოლებში რელიგიის ნეიტრალური და ობიექტური სახით გადმოცემის სტანდარტს ამკვიდრებს გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტი თავის გადაწყვეტილებაში ლეირვაგისა და სხვა ბავშვების მშობლების საჩივართან დაკავშირებით (Leirvag et al. v. Norway). კომიტეტმა დაადგინა გაეროს სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის დარღვევა და სწავლის პროცესის შეუსაბამობა “ობიექტურობის, პლურალისტური და მიუკერძოებლობის” პრინციპებთან, რადგან საგანი შეიცავდა ქადაგებასა და სწავლების შინაარსი უტოლდებოდა ინდოქტრინაციას⁵⁹.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო საქმეში - კლაიდსენი, ბუსკ მადსენი და პედერსონი დანიის წინააღმდეგ (*Kjeldsen, Busk Madsen and Pedersen v. Denmark*) ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის მე-2 მუხლის განმარტებისას სახელმწიფოს აკისრებს ვალდებულებას, რომ სწავლებისა და განათლების ფუნქციის განხორციელებისას, საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული ინფორმაცია ან ცოდნა გავრცელდეს ობიექტური, კრიტიკული და პლურალისტური გზით. სასამართლო აქვე დასძენს, რომ სახელმწიფოს ეკრძალება ინდოქტრინაცია, რაც შესაძლებელია განხილულ იქნას მშობლების რელიგიური თუ ფილოსოფიური რწმენის უპატივცემულობად.⁶⁰

სასამართლოს ანალოგიურ მსჯელობას ვხვდებით საქმეში ვალსამისი საბერძნეთის წინააღმდეგ (*Valsamis v. Greece*). სასამართლოს განმარტებით, კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის მე-2 მუხლის მე-2 წინადადება წევრ სახელმწიფოს უკრძალავს ინდოქტრინაციას, რაც წარმოადგენს ზღვარს, რომელსაც სახელმწიფოს დისკრეცია არ უნდა გასცდეს.⁶¹

დასკვნა:

სახალხო დამცველის მიერ აღნიშნული საკითხის შესწავლის შედეგების თანახმად, საჯარო სკოლის დირექტორების მიერ აღნიშნული საგნის სწავლების სკოლის ინფრასტრუქტურისა და რესურსებით გამოყენებით, ასევე ონლაინ გაკვეთილებზე დასასწრებად მოსწავლეთა მობილიზებაში სკოლის ადმინისტრაციის მონაწილეობა არღვევს სეკულარული განათლებისა და საჯარო სკოლების რელიგიური გაერთიანებებისგან გამიჯვნის პრინციპს. აღნიშნული საფრთხეს უქმნის საჯარო სკოლის რელიგიურ ნეიტრალიტეტს და ზრდის რელიგიური ინდოქტრინაციის რისკს.

“სამშობლოსმცოდნეობის” საჯაროდ ხელმისაწვდომი გაკვეთილების შინაარსი არ შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებსა და ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ პრინციპებს, რამდენადაც აღნიშნულ გაკვეთილებზე ხდება დისკრიმინაციული შინაარსების ტირაჟირება, განსაკუთრებით ქალთა უფლებებისა და გენდერული თანასწორობის პრინციპის

⁵⁸ იქვე. მე-7 და მე-8 პუნქტები.

⁵⁹ ხელმისაწვდომი ვებგვერდზე: <<https://bit.ly/2NjLKOc>> [ბოლოს ნანახია: 25/02/21].

⁶⁰ KJELDSEN, BUSK MADSEN AND PEDERSEN v. DENMARK, (Application no. 5095/71; 5920/72; 5926/72), ხელმისაწვდომი ვებგვერდზე: <<https://bit.ly/3rXt78M>> [ბოლოს ნანახია: 26/02/21].

⁶¹ Valsamis v. Greece (Application no. 21787/93), ხელმისაწვდომი ვებგვერდზე: <<https://bit.ly/3lfARkb>> [ბოლოს ნანახია: 26/02/21].

მიმართ. გაკვეთილების შინაარსი მოიცავს მკვეთრად ეთნიკური ნაციონალისტური ხასიათის შინაარსებს, რომელთა მიხედვითაც სამშობლოსადმი მიკუთვნებულობა ექსკლუზიურად ქართული ეთნიკური წარმომავლობისა და მართლმადიდებლური აღმსარებლობის ნიშნითაა განხილული. ქართველების ეთნიკური წარმომავლობა და მართლმადიდებლური რელიგია წარმოსახულია უპირატესად სხვა ეთნოსებსა და რელიგიებს შორის.

გაკვეთილებზე ჟღერდება დასავლური კულტურისა და ღირებულებების მიმართ ანტაგონისტური შეხედულებები. ხდება დემოკრატიული პროცესების, სამოქალაქო ჩართულობისა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციათა საქმიანობის დაკნინება. აღნიშნული შინაარსების ბავშვებსა და ახალგაზრდებში გავრცელება ეწინააღმდეგება არამართო ზოგადი განათლების შესახებ კანონმდებლობას, არამედ, ასევე ქვეყნის დასავლურ ასპირაციას (საქართველოს კონსტიტუციის 78-ე მუხლი) და საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შეთანხმებით აღიარებულ ღირებულებებს - დემოკრაციას, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვასა და კანონის უზენაესობის პრინციპს.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ “სამშობლოსმცოდნეობის” შესახებ საჯაროდ გავრცელებული ინფორმაციისა და გაკვეთილების ამსახველი ვიდეო მასალების გავრცელების მიუხედავად, სამინისტროს აუდიტის დეპარტამენტის მიერ სკოლებში ინსპექტირება და ინფორმაციის იდენტიფიცირება არ განხორციელებულა⁶². დეპარტამენტი ინფორმაციის გამოთხოვის მიზნით გაგზავნილი წერილის საპასუხოდ, მიუთითებს სკოლისთვის კანონმდებლობით განსაზღვრულ შესაძლებლობაზე მოსწავლეებს შესთავაზოს დამატებითი საგანმანათლებლო ან სააღმზრდელო მომსახურება, ხოლო “სამშობლოსმცოდნეობის” ზოგადი განათლების შესახებ კანონთან, ეროვნულ სასწავლო გეგმასა და ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებთან შესაბამისობის შესწავლის საჭიროებას არ განიხილავს⁶³.

„სამშობლოსმცოდნეობის“ გაკვეთილებთან დაკავშირებით დირექტორების მხრიდან იკვეთება ინდოქტრიაციის აკრძალვისა და ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებთან შესაბამისი სწავლების შესახებ კანონით გათვალისწინებული ნორმების დარღვევა. კანონდარღვევად შესაძლოა ჩაითვალოს არა მხოლოდ ის შემთხვევები, როდესაც სკოლამ გაკვეთილების ორგანიზებისთვის გამოყო შესაბამისი სასკოლო რესურსი, არამედ ასევე სკოლის ჩართულობაც ონლაინ გაკვეთილების შესახებ მოსწავლეთა ინფორმირებასა და მოწოდებაში დასწრებოდნენ გაკვეთილებს. სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენლები მათ მიერ მოსწავლეთათვის ინფორმაციისა თუ მითითების გადაცემისას სარგებლობენ ავტორიტეტით, მათ რეკომენდაციას ბავშვებისთვის მაღალი დამაჯერებლობა და სარწმუნოობა აქვს. შესაბამისად, მიუხედავად იმისა, რომ მიმდინარე ეტაპზე მოსწავლეები სკოლისგან დამოუკიდებელ დროს ესწრებიან ხსენებულ გაკვეთილებს ონლაინ რეჟიმში, სკოლის მიერ რელიგიის სწავლებაში ჩართულობა მინც იკვეთება, მათ მიერ მოსწავლეთა ინფორმირებისა და მობილიზების სახით.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, “საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ” საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის “ზ” ქვეპუნქტის საფუძველზე, მოგმართავთ

⁶² განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტის უფროსის, ბ-ნი გიორგი ქოჩიშვილის 2021 წლის 30 მარტის MES 5 21 0000304262 წერილი;

ასევე, განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს 28 დეკემბრის MES 9 20 0001232860 წერილი.

⁶³ იქვე.

წინადადებით:

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს:

- კანონმდებლობის შესაბამისად დააყენოთ ქ. რუსთავის საჯარო სკოლების, ასევე ქ. გორის საჯარო სკოლის დირექტორების პასუხისმგებლობის საკითხი ზოგადი განათლების შესახებ კანონის, ასევე სკოლის დირექტორის ეთიკის კოდექსისა და საჯარო სკოლის დირექტორის სტანდარტის დარღვევისთვის;
- შეისწავლოთ: სამეგრელოს საგანმანათლებლო რესურსცენტრის, ქ. თელავის საჯარო სკოლის დირექტორის და ქ. წყალტუბოს საჯარო სკოლის დირექტორის შესაძლო ჩართულობის საკითხი გაკვეთილების ორგანიზებასა და ხელშეწყობაში;
- შიდა აუდიტის დეპარტამენტის მიერ საჯარო სკოლებში ჩატარდეს პროაქტიული მონიტორინგი მონიტორინგი “სამშობლოსმცოდნეობის” გაკვეთილების ორგანიზებაში სკოლების მონაწილეობის იდენტიფიცირების მიზნით, ასევე რელიგიური ინდოქტრინაციისა და პროზელიტიზმის სხვა შემთხვევების გამოსავლენად;
- სკოლების ადმინისტრაციისა და მასწავლებლებისთვის განხორციელდეს საგანმანათლებლო და ცნობიერების ამაღლებაზე ორიენტირებული ღონისძიებები რელიგიური ნეიტრალურობის დაცვისა და ტოლერანტული გარემოს ხელშეწყობის საკითხებზე;

გთხოვთ, განიხილოთ წარმოდგენილი წინადადება და პასუხი მაცნობით “საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ” საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლით განსაზღვრულ ვადაში.